

ნოდარ [illegible]

## „ᲙᲐᲪᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲘᲛᲮᲘᲔᲜᲝ"

2006 წელს გამომცემლობა "ქართულმა მწერლობამ" დასტამბა გიორგი გიგაურის ბალადებისა და პოემების კრებული, რომელსაც პოემა „კაცი სარკმელთან" ჰქონდა. კრებულის რედაქტორია ვაჟა ოთიაშვილი. "კაცი სარკმელთან" ერთ-ერთი პოემის სახელწოდებაა და პოემა კრებულის სახელწოდებად გამოიტანა. ცხადია, თვით პოემის არსი იძლევა საამისო საფუძველს.

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების სათაური დედაზრს გამოხატავს და მწერლის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ მრწამსს მიუთითებს. ამიტომ აუცილებელია სარკმლის მხატვრული ფუნქციის შესახებ საუბარი, რომლის გარეშე სწორად ვერ გავიაზრებთ თვით პოეტის სულიერ სამყაროსა და ამ კრებულში წარმოდგენილი თხზულებების დედააზრს.

მითოპოეტური თვალსაზრისით სარკმელს აქვს თავისი მხატვრული ფუნქცია, რაც სემანტიკურად სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს, კერძოდ, ხილულისა და უხილავის, გარეგანისა და შინაგანის, ღია და დახურული სივრცის გამყოფის ნიშნით. სარკმელი გარესამყაროსთან კავშირის დამყარების საშუალებაა. ძირითადად იგი სულის სარკმელს უკავშირდება. ადამიანი სარკმლით ამყარებს ურთიერთობას ღმერთთან, მზესთან, საერთოდ გარესამყაროსთან. სარკმელი არის ხილულ და უხილავ, გარე და შინაგან, ღია და დახურულ სივრცეთა გამყოფიც და გამაერთიანებელიც. სარკმელი იმედის შუქია, მან სინათლე უნდა შეიტანოს შემოქმედის ცხოვრებაში, მისი სულიერი გარდასახვის რთულ პროცესში, სულიერ განახლებაში მიიღოს მონაწილეობა. სარკმლიდან გამოსხივებულად აღიქმება გარესამყარო, ხილული, ღია სამყარო. სარკმელი სამყაროს მისაღწევი განახლების სიმბოლოდ მოიაზრება, სარკმლიდან და სარკმელში ქვრეტა ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატულებაა.

სარკმლიდან ქვრეტა, ხედვითი და მოვლენათა დანახვა ახალი სამყაროსაკენ მიმავალი გზის კონტურებს ხატავს, დახურული სივრციდან ღია სივრცეში პოეტის გასვლის დასაბამია. მწერლის შინაგანი, სულიერი სამყაროს, სამშობლოს, შინა სივრცის გამოხატვა ძირითადად საკუთარი თავის შემეცნებისა და შეცნობის, მოყვასისათვის გარჯისა და თავდადების შემეცნობით ხორციელდება. სარკმლიდან ღია სივრცეში ქვრეტა სივრცულ სხვა-სხვაობასთან არის დაკავშირებული. სარკმლიდან ქვრეტა გარესამყაროში შინა სამყაროში მყოფი ადამიანის თვალით ქვრეტაა. დახურული, შიგა სივრციდან ქვრეტა მიუთითებს გარესამყაროში გასული ადამიანის თვალთახედვასა და ხედვას, რომელიც ცდილობს ერთიანი სამყაროს აღქმასა და შეცნობას.

გიორგი გიგაური არ აკონკრეტებს, გარესამყაროსაკენ არის მისი სულიერი თვალი მიმართული, თუ შინასამყაროსაკენ; ეს არცაა აუცილებელი, რადგან პოეტის მზერა მიმართულია როგორც შინა, ისე გარე სამყაროსაკენ. თავისთავად ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მისი პოეტური ნაწარმოებები სივრცულად დაპირისპირებულ ორ სამყაროს წარმოაჩენს; აგრეთვე, იგი პოეტის მიერ წარმოსახულ სამყაროს დაპირისპირებულ ასპექტში, ვერტიკალურ ქრონოტოპში, ასე ასახვით თვალთახედვით. სარკმლიდან მზერით ადამიანი თავის თავში იყურება და, ამავე დროს, აზიარებს ორ სამყაროს, რაც პოეტური ხილვების საფუძვლებს ქმნის. ამ სარკმლიდან ქვრეტს გიორგი გიგაური სამყაროს. ბალადებისა და პოემებისათვის მის მიერ შერჩეული სათაურები ნათლად გამოკვეთენ შემოქმედის სათქმელს. პოემა "კაცი სარკმელთან" კი რამდენიმე პოეტური ხილვითაა წარმოჩენილი ცოდვამონანიების არსი და სიმბოლიკა:

„კაცი სარკმელთან მტკიცედ მარტოდმარტო
ისევ ცოდვამოყვრების წინაშე

ყველა მოვლენის სწორად განმსჯელი,
კაცი ღმერთების ტოლი,
იძირებიან კუპრის მორევში
ავი სულები სრულად;
ის კი მორიგეთა ხელისმომწყვეტი
ხატავს სიცოცხლის სურათს".

პოეტის ხატქმული ფერადოვანი სახე-ხატები და სურათები ისე გადმოგვცემენ, რომ მკითხველში ფიქრის, განსჯის, არსის წვდომის მოთხოვნილებებს აღძრავს. მისი პოეტური ნაწარმოსახვებით ფერშეუცვლელად აირეკლებენ ადამიანის არსებობის აზრსა და მნიშვნელობას, რასაც იმედის ნათელი მოსდევს და ამკობს.

კრებულში რამდენიმე პოემა და ბალადაა დაბეჭდილი, რომელთაგან რამდენიმეზე შევაჩერებთ ყურადღებას. პოემა "სოფელი სიკვდილს გადარჩენილი" ეძღვნება სოფელ ბლოს ერთადერთ მცხოვრებს ჩაჩაურ გიგაურს, "ნოეს კიდობანს" გამოქცეულ ვაჟკაცს, რომელმაც კერა არ ჩააქრო და 30 წელი მარტოკა ინახავდა სოფელს! ერთი კაცია სოფელი და გვარი, ერთი კაცი იცავს და ინახავს სოფელს. ეს დიდი ტკივილი გასდევს ნაწარმოების პირველ ნაწილს: "შენი ზეცისთვის, შენი მიწისთვის, შენი ცისისთვის უნდა ვწამო". და ბოლოს, პოეტი ნაოცნებარის ასრულებასაც გვამცნობს, "ბლოში მოვიდა თვალმშვენიერი რძალი, ვაჟკაცის ხელის თანაზიარი, რძალი კი არა იმედი ხვალის, რძალი კი არა ყანა მზიანი", რამაც გადაფანტა მარტოობის ბურუსი და თან მოიტანა იმედი ხვალის.

ბალადაში "ვეფხვის მკურნალი" ხალხური ვეფხვისა და მოყმის ბალადის გამოძახილი შეიგრძნობა, მონადირეს მტრული განზრახვა ვეფხვის მოკვლისა შეაცვლევინა და სიკეთე ჩადენინა, რითაც ზღვარი წაშალა მტერ-მოყვარეს შორის: "ვეფხვი კი, ვეფხვი, — უცნაური უცხო სტუმარი, — თოვლზე წვება და სისხლიან თათს უჩვენებს მშვიდი, მის გაჭირვებას მონადირე ხედავს გუმანით, ნადირისაკენ უთოფოდ და უშიშრად მიდის! ამოაცალა კლანჭებიდან ნამსხვრევი კლდისა, გაჭირვებაში დახმარება წესია მთისა". ავტორის სულის კეთილშობილებაც გამჟღავნდა, მონადირის თანადგომა ვეფხვისადმი ბალადას განსაკუთრებულობას ანიჭებს, მტრულად მიმავალი მკურნალად ევლინება და ამარჯვებს ურთიერთსიყვარული, ჰუმანიზმი.

ბალადა "სიყვარული და ადათი" სიყვარულის გრძნობას განადიდებს და, შეიძლება ითქვას, თავისი მიზანდასახულობით ვიდრე პოეტური აზროვნების გამოძახილადაც გვევლინება; სიყვარული ორი თემის მტრობის საფუძველი ვერ გახდა, აქაც ჰუმანიზმმა გაიმარჯვა, თუმცა არც ბალადის პერსონაჟი ვაჟკაცი და არც მისი სატრფო ბედნიერნი ვერასოდეს იქნებიან ურთმანეთოდ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავისი თემის ინტერესები, თანამოძმეთა სიცოცხლე უფრო მაღლაა დაყენებული, ვიდრე სიყვარულის უკვდავი გრძნობა.

„დიდედ ქალში" იმედიანი თანაგრძნობისა და თანალმობის სიდიადეა წარმოჩენილი; დედაა დედის მზრუნველი — ომიდან მოსავალ შვილს ვერ დახვდა, შვილის განცდებსაც არად დაგიდევს, რადგან შვილმა კედარდედებიან თავისისახსოვრის გამბრწყინებისა ურიდებს, თავად კი ცრემლთან მეხლმარჯვენადი ღმერთის ვედრებით შვილის მის დაბრუნებას. მარტოლაც როგორია სადედაო სულისა და ზნეობრივი სიმაღლე დედისა, რომელიც ომიდან შვილის დაბრუნებას ელის და არც კი იცის, დაბრუნდება თუ არა. მაგრამ მაღლიდანაა ყოველივე განგებული, დედის ქმარიტ ლოცვას ღმერთი შეისმენს.

უნდა აღინიშნოს, რომ "კენჭები კაშკაშა მთირებში" გიორგი გიგაურის პოემებიდან გამორჩეულია. ნაგზის "კაცი სარკმელთან" ბოლოთქმაში კეთილქულობით, რომ ეს პოემა გიორგი გიგაურის პოეზიის საგვირგვინო მარგალიტია. მკითხველის მეხსიერებას უთუოდ შემორჩება ამ პოემის არსი და აზრი, გაცხადებული მეტაფორული მეტყველებით. იგი წერს ამ მკითხველისათვის, რომელიც წვდომისა და თანამეგობრობის უნარითაა დაჯილდოებული. აქ ერთმანეთს ენაცვლება აზრი და განცდა, მოვლენების პლასტიკური წვდომა, დინამიკური სურათები. სათაურშივეა გაცხადებული პოეტის მიზანსწრაფვა და ადამიანის ნარმოსახვაში მოცულია ცხოვრებაა, რომელიც მან თავად უნდა გაშიფროს. კენჭი კი თავადაცაა, ნაპირიდაცაა, მეგზურებაა. რა არის სატკივი კენჭების რიგისა და არსის შესანარჩუნებლად, მოიკვეთ სიმშვიდის დასაცავად? გიორგი გიგაურის ამ პოემაში დასმულია კითხვა: "ასკვე, უტკბილესი რა არის ქვეყნად?" და იქვე პასუხიცაა გაცემული:

"პირველი — დედა,
მერე?
ყრმიდან ქალწულთან მივყევ,
რომ გაგამარტოვლის მომავლის ბედი.
აკვნიდან შვილის ლამაზი ნანა,
ულევი მზე ხელის წამოტანება
და სტრიქონებში ჩაღვრილი აზრი,
აფუვნებული ფიქრის დინება...
ტკბილი და უტკბილესი რა დამავიწყებს,
ან ამ სიცოცხლის წინაშე ხათუთი —
მამული..."

სრულიად ნათელია, რომ გიორგი გიგაურის პოეტური ხედვა არატრადიციულიცაა და ამავე დროს ორიგინალურიც. სახეობრივად გამოხატული ფოლკლორი და სულიერება ადამიანის პოეტის მიზნებს გვამცნობს და მის ზნეობრივ სამყაროს ეთიკურ ხიბლსაც ანიჭებს, რაც ინდივიდუალური ხელწერის გამოვლინებაა.

ავტორის მიერ სიღრმისეულად შეგრძნობილ-გააზრებული განცდა და აზრი ცხოვრებისეულად, პირველქმნილი შეგრძნებით მიდის მკითხველის გულამდე და გონებამდე. მას ძალუძს სულიერისა და მატერიალურის შე-

ზავება, რაც საუცხოოდ დასტურდება ზემოხსენებული სიტყვებით. არც ისაა შემთხვევითი, რომ შუილის ხსენება სიმბოლურ-მეტაფორული სახე-სახითაა ნაჩვენები, ესაა "ულეანის" სიმბოლიკა, რომელიც მომავალი თაობის ღირსეული აღზრდის მოტივითა და აზრითაა შთაგონებული. მაგრამ მასში არაა მხოლოდ ახალი თაობის ნამუსიანი აღზრდა მოაზრებული, არამედ სამშობლოს მიწა-წყალზე ზრუნვაც ნამუსის სიმბოლიკითაა შემოტანილი პოემაში. ასე, რომ ნაწარმოების დასაწყისშივე ის ძირითადი სათქმელი მონიშნული, რასაც ეძღვნება იგი. ფესვებთან მიბრუნება! ეს ის მარადიული თემაა, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი ეძღვნება. არც გიორგი გიგაურის პოეტური ხილვებია ამ მხრივ გამონაკლისი.

მაგრამ ერთი რამ მაინც ბადებს მკითხველში კითხვას: რატომ თავშივე არ ჩანს მამის სახება და რატომ შემოდის იგი სიმბოლიკით?

ავტორს მკითხველისადმი ნდობა, უშუალო განცდა და მონათესავე სულის ძიება აწერინებს და აქმნევინებს მხატვრულ ნაწარმოებს. მას იმედი აქვს, მკითხველი მიუხვდება და თავადაც შესაბამისად აგნებს ამ უხილავ გზამკვლევს, რომელიც აზრისა და გრძნობის თანაზიარეს, ანუ მკითხველს, თან გაიყოლებს და საკუთარი ინტიმური, უშუალო განცდების მონაწილედ გაიხდის. ამიტომ პოეტი ხშირად ანაცვლებს რეალობასა და მეტაფორულ აზროვნებას, რეალობიდან მეტაფორულობისაკენ მიგვიძღვის და, პირიქით, მეტაფორული აზროვნებიდან რეალობაში გვაბრუნებს.

პოემა უმთავრეს თემად მამა-ძეობის პრობლემას სახავს, რითაც აჩვენებს იმ მარადიულ მონაცვლეობას სამყაროში, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს. ამას საოცრად ავტორის მხატვრულ ენასა და პირობითობას კონკრეტული დეტალები ეხამება და იქმნება პოეტის სრულიად ორიგინალური მხატვრული სამყარო, რომელიც მარადიულსა და წარმავალს ერთიანობაში აჩვენებს. სწორედ ამ კუთხითაა ეს პოემა ორიგინალური და საინტერესო. მასში ვხვდებით გადაძახილს წინარე ლიტერატურასთან, განსაკუთრებით ბიბლიასთან, რაც, შესაძლოა, წინასწარგანზრახული არც იყოს. მაგრამ პოეტის სულში დალექილი და დამკვიდრებული ცოდნა-განცდილება თავისთავად იჩენს თავს და იქმნება ასოციაციური ჯაჭვი, რომელსაც მხატვრული აზროვნების სათავეებისაკენ მივყავართ.

გიორგი გიგაური წარმოსახავს ადამიანის ცხოვრების დრამატულობას, სირთულეს, ბოროტების მოძალებას და ადამიანის ძალის მისადმი დაპირისპირებულობას. ყოველივე ამას რთული მეტაფორული აზროვნების კვალი ატყვია. მას ის ასულდგმულებს, რომ ადამიანი მზადაა ახალი ცხოვრებისაკენ შემობრუნებისათვის, რაც ძალზე ხანგრძლივი სახე-სახეში გამოვლინდება:

„ვინ იცის...
კარგს ახდენებდა გოძევან მერით,
გადამეცქვერ ლამაზ ფერადებს,
რომ შეეცადო ხანმოკლე სულის,
მერე აგავსო ბოლომდე ყულაბა,
ხმელ ფოთოლივით გზაზე გაგწირონ,
სითბოს, სახარულს
არ გაზიარონ..."

რა მოაქვს ბოროტებას, სიცრუეს, გაუტანლობას, დაუდევრობას? მხოლოდ სულიერი ხიმეებისა და წინასწარობის რღვევა, რაც ადამიანში ტრაგიკული გარდასახვის პერსპექტივებს აღვივებს. ამიტომაა საჭირო მისი დაძლევა, რათა "მზისფერ მინდვრებს, დაანთხეული, აინკარი, ავირიგო ნუბაღში ჩაგრული გაბნა და ვინც ლერხია ყველას აქმარო".

ღმერთი ადამიანს აყენებს არჩევანის წინაშე, თუ რა უნდა გააკეთოს? და აი, სწორედ აქ მხარეებს ადამიანის გზირობა, სულის სიდიადის გამოვლენა, რაც ლიტერატურული ტრადიციებით დამკვიდრებული აღქმისებითა და მეტაფორებით აისახება პოემაში:

„და მაინც უნდა გაიარო,
უკუნი თვალთ გაიმზიარო..."

ორივე სახე-სახე ღირსი პოეტური წარმოსახვის ყურადღებით და ავტორის სათქმელს მეტაფორულად გვიაზრებინებს, შეგვიმზნებს "ცოტაკვეური აზროვნების" კვალი, რასაც ადამიანის ზეციერისთან, ნათელთან ზიარებისაკენ მივყავართ. "გაბრწყინება" და "გამზიანება" ღმერთისაგან ბოძებული თავისუფალი ნების წყალობით არის განსახორციელებელი. საბოლოოდ წარმოუდგენელია. ხოლო არსის, არსებობის აზრის ძიება, ნუგეშიდან სინათლე. ულმერთობა — სასოებად, ბოროტების — სიკეთედ გარდასახვა მხოლოდ ღვთაებრივ სიყვარულთან ზიარებულ ადამიანს ძალუძს. ამიტომაა იგი მუდმივ ძიებაში, რასაც ვანგარელის პოსტმოდერნული მოტივით ამცნობს პოეტი მკითხველს: "ეძებე მოყმე, პოვე კაცთა" — მარადის ძიება ამ სულიერებისაგან დაცლილ სამყაროში ადვილი არ არის. მოიშვება ალუზია და ენიგმური აზროვნების პრინციპები, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი იდეური სიმართლისაკენ, მეორე მხრივ, ლიტერატურული ტრადიციების, კერძოდ ტრიოლ-ეპოქალურის იმეორით თანაგრძნობა-თანადგომის სინამდვილე მიჩნევისაკენ გვიბიძგებს. პოეტი აღნიშნავს, მიღმიერის შეცნობას ცდილობს, მან უნდა დაიოკოს ბოლო, მოლოდინი, სავსე სიცოცხლე. აზრის მეტაფორებად უნდა გარდასახოს. და იგი მკითხველის სათქმელსაც ამბობს, რადგან ჩვენი ეპოქაში სიმძლავრე და ზოლმერთობრივი ზნე ქვეყანა კაცთა პოეზიის არსებობის ერთგვარ აქტიურობით, რის დასტურადაც ცდილობს ავტორი პოემაში. განსაკუთრებით პოეტისათვის, შემოქმედი კაცისათვის მძაფრია სიმბოლიკის

უსამშობლობის განცდა! მაგრამ მას სწამს და სჯერა ახალი სამყაროს დამკვიდრებისა, რასაც საოცრად ხატოვანი აზროვნებითა და მსჯელობით აღწევს, რომელშიც ბუნების ხილვით გამოწვეულ აღტაცებას ერთვის პოეტის ვედრება:

მთის თხემი ველებს ამაყად უმზერს,
ბუჩქი იტალღება,
კორდი ბიბინებს,
ნამად იღვრება,
უბიწესი სულზე,
თის სინაზე,
ვარდის სილბილე,
ყაყაჩოების ალალანება,
ყაყაჩოების აბრდღვრიალება,
ლოკოკინა სათიბთან,
მწიფე ყანებთან
მიმობნეული,
როგორიც ვედრება,
რაც მირაკრაკებს მზიან ფერდობზე,
მთებზე სიმღერას აღარ ათავებს,
როგორიც სინდისი,
როგორიც შენდობა
უწმინდესია წყაროს სათავე —

რისთვის ილევის ადამიანი? რა სურს მას? რა უნდა აკეთოს? აი, კითხვები, რაც კაცობრიობას აწუხებს თავისი არსებობის განმავლობაში. გიორგი გიგაურის პასუხი ასეთია: „გაიფრთხილე, გაიფაქიზე და ისევ გახსენ ლურჯი ცისკარი რომ მშვიდად იყოს ანკარა წყარო და კამკამებდეს ფსკერი მორევის".

მორევი არ უნდა აიმღვრეს, რადგან „მღვრიე მორევში კენჭები არ ჩანს"! კენჭი, თითოეული კენჭი უნდა შეეცადოს ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და ბოროტებასთან ბრძოლას. ცოდვამადლითაა დაბურძგლული ცხოვრების ხის ტოტი, ხის ფესვები სიღრმე განფენილი და განსტოტვილია წარსულში, მისი ტანი — აწმყოა, ხოლო ფოთოლ-ყვავილნი — მომავალი! სიტყვებითაა გარემოცული ის სივრცე, რომელშიც პოეტს უწევს ცხოვრება, ფიქრი, ოცნება. ამიტომაც არის ამ პოემაში იგავურ-ალეგორიულიცა და აფორისტულიც, თხრობითიც და ლირიკულიც. ლექსწყობაც, რითმაც, რიტმიც თავისებურია, ტრადიციულიც და პოეტისეულიც. ყოველი სიტყვა, ფრაზა, აზრი ზუსტია, თვით პოეტის მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი და ახლად აღმოჩენილი. ამ თვალსაზრისით გამოვარჩევდი ხალხური აზროვნების გამომხატველ სიღრმით გამორჩეულ მხატვრულ სახე-სახეებს: "იქნება შენი მორევი, შენი ბილიკი, კაბა, ბორანი...." "მოიმურდება სარკმელთან ფილა"...

მთელი პოემა მკითხველს განსაკუთრებით სიმშვიდის იმპულსებს გადასცემს, მისი სურათების ემოციური ინტენსიობა თანაბარია, რაც თვით პოეტის განწყობილებულ სულიერ სამყაროს წარმოაჩენს. იგი ერთგვარი სულიერი კულსარებიცაა, ოცნებაცაა, ანდერძიცაა, როგორც საკუთარი მომომხილველებისათვის დასატოვარი, ისე საზოგადოებისათვის.

პიროვნული ღირსებისა და თვითდამკვიდრების განცდით აღსავსე პოეტი პოემაში აწყობს დიამეტრულად საპირისპირო ეპოქათა შორის უშუალო კავშირს. მისთვის მთავარია ტრადიციის თავგანწირვა და თანამედროვეობასთან ჭიდილი, რითაც ჩანს, რომ პოეტი მარად თავისი ეპოქის შვილად რჩება.

ეს წერილი არ არის რეცენზია, იგი იმ კითხვისას მიღებული შთაბეჭდილებების შეჯამებაა, რაც, ცხადია, სუბიექტურ აღქმას წარმოადგენს.

ბევრისაგან შეუმჩნეველ ნათელს გამოსცემს გიორგი გიგაურის ეს წიგნი, კერძოდ, ერთბაშად პოემა „კენჭები კამკამა მორევში", ნათელს, რომელიც წარმართავს ყოველი ადამიანის, მით უფრო მემკვიდრე კაცის, აზრთა ცხოვრებას. მისი პოეზია თავისუფალია მოჭარბებული ტრაფარეტული აზროვნებისაგან, რადგან მისთვის მთლიანად სიტყვიერი მიზანშეწონილი მკითხველის შეგრძნებები არის საჭიროება, საჭირო გააზრება, ვრცელი მილევა, რაც პარალელიზმებისა და კონტრასტული მხატვრული ხერხების საშუალებით ხდება შესაძლებელი.

---

## ვედრება

**ვუძღვნი უწმინდესსა და უნეტარესს ილია II**

უწმინდესო, ქრისტეს ჯვარით,
მრევლს უქარვებ გულის ვარამს,
სიყრმეს გახსნიდა ეგ ზარი,
რწმენის დროშა გაიშალა.

გვედრებ, ჩვენი მამა-წინაპარი
ადიდებულო, ალამდრო,
რომ მტარვალმა, ურჯულომ მოყვრულით,
ქართველობა არ წაბილწოს.

ათავე ხება ვრის,
ამაღლე ალზევით,
შველაც მარად შენთან ვლის,
მამ, მიეცი სულის შვება.

არ დამზოგოდე, არ დაღლილიყო
და არც ლოცვით დაღლილო,
გაიკვალო უნდა კრძალვით,
ცისკრისფერულად დავლევიო.

..ზეციდან ტაძრის კართან
წუთი შენი გამოჩენის,
მადლია შენი კალთა,
მოცავს შენი განახლება.

ათი კრძალ ვერცხლის მიმად
ამ ცხოვრების ანაბანა,
გასაოცარი გათავება,
დაბადება დაბადება.

დამიღალე ტანწამებულო,
ამაღლებით ამაღლდი,
დიდმამულო უფლის სუფრით,
ერთხელ კიდევ ამაღლდი!

გიორგი გიგაური
2007 წელი, 23 აგვისტო